

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1311 (2000)

2000 წლის 28 ივლისი

უშიშროების საბჭო,

იმოწმებს რა თავის შესაბამის რეზოლუციებს, კერძოდ, 2000 წლის 31 იანვრის 1287 (2000) რეზოლუციას, და თავისი თავმჯდომარის 2000 წლის 11 მაისის (S/PRST/2000/16), აგრეთვე 2000 წლის 17 ივლისის 1308 (2000) რეზოლუციას,

განიხილა რა გენერალური მდივნის 2000 წლის 21 ივლისის მოხსენება (S/2000/697),

იმოწმებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ლისაბონის (S/1997/57, დანართი) და სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრების დასკვნებს, რომლებიც ეხება სიტუაციას აფხაზეთში, საქართველო,

ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია პროგრესის არარსებობა აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებში,

აღნიშნავს, რომ ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს დებულების თანახმად იგი უნდა შეიკრიბოს ყოველ ორ თვეში და მიესალმება რა ამასთან დაკავშირებით მისი მუშაობის განახლებას,

მიესალმება სოხუმის 2000 წლის 11 ივლისის საკოორდინაციო საბჭოს მეათე სესიის შედეგებს, კერძოდ, ორივე მხარის, გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების (დსთ-ს სამშვიდობო ძალები) მიერ იმ ოქმის ხელმოწერას, რომელიც ეხება უსაფრთხოების ზონაში ვითარების სტაბილიზაციას, და გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ორივე მხარე დააჩქარებს მუშაობას გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ ოქმის პროექტზე და მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების თავიდან აცილების გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტზე,

ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში საერთო სიტუაცია კვლავც არასტაბილურია, თუმცა ამჟამად შედარებით მშვიდია,

იმოწმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალისა და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოების შესახებ 1994 წლის 9 დეკემბერს მიღებულ კონვენციაში ჩამოყალიბებულ შესაბამის პრინციპებს,

მიესალმება მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს შეაქვთ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, აღნიშნავს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასა და თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს შესანიშნავი სამუშაო ურთიერთობა აქვთ ყველა დონეზე, ხაზს უსვამს რა თავ-თავისი მანდატების შესრულებისას მათი მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაგრძელებისა და გაფართოების დიდ მნიშვნელობას, და მიესალმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 2000 წლის 21 ივნისის (S/2000/629) გადაწყვეტილებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 2000 წლის 21 ივლისის მოხსენებას;

2. მტკიცედ უჭერს მხარს განუხრელ ძალისხმევას, რომელსაც გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ეწევიან რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სიტუაციის სტაბილიზაციას და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტას;

3. მტკიცედ უჭერს მხარს აგრეთვე სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას თბილისისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა განაწილების საკითხთან დაკავშირებით, და, კერძოდ, მის განზრახვას უახლოეს მომავალში მხარეებს წარუდგინოს წინადადებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება ამ საკითხზე სუბსტანციური მოლაპარაკების გამართვას;

4. ხაზს უსვამს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში გადასაწყვეტ საკვანძო საკით-

ხეზე მოლაპარაკების გამართვისათვის, მათ შორის ყოვლისმომცველი მოწესრიგების ფარგლებში თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა განაწილებისათვის;

5. მიესალმება მხარეთა ვალდებულებას არ გამოიყენონ ძალა არანაირი სადავო საკითხის მოწესრიგებისათვის, ყველაფერი უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოლაპარაკების გზით და მშვიდობიანი საშუალებით, და თავი შეიკავონ კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტისათვის გამოიხილი პროპაგანდისაგან;

6. მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ასევე განახორციელონ ადრე შეთანხმებული ნდობის განმტკიცების ღონისძიებანი და შეიმუშაონ შემდგომი ღონისძიებანი სოხუმში 2000 წლის 11 ივლისს ხელმოწერილი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს უკრაინის მთავრობის წინადადებას გამართონ იალტაში მესამე შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებას, უსაფრთხოების გაძლიერებასა და თანამშრომლობის განვითარებას;

7. კვლავაც ადასტურებს, რომ დაუშვებელია დემოგრაფიული ცვლილებები კონფლიქტის შედეგად და კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის განუყოფელ უფლებას დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლისა და 1994 წლის 4 აპრილის (S/1994/397, დანართი II) ოთხმხრივი შეთანხმების დებულებების შესაბამისად, და მოუწოდებს მხარეებს დაუყონებლივ შეუდგნენ ამ პრობლემის გადაჭრას ურთიერთთანხმობის საფუძველზე და იმ ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომელთა მიზანია იმათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ვინც ახორციელებს თავისი დაბრუნების უცილობელ უფლებას, მათ შორის იმათი, ვინც უკვე დაბრუნდა;

8. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს ამასთან დაკავშირებით დაუყონებლივ და ერთად შეუდგნენ, და ამით გადადგან პირველი ნაბიჯი, გალის რაიონში დამოუკიდებლად დაბრუნებულ პირთა გაურკვეველი და არასაიმედო მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის იმ ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურების საქმიანობის განახლების გზით, რომლებშიც სათანადოდ იქნება წარმოდგენილი დაბრუნებული მოსახლეობა;

9. მიესალმება საქართველოს მთავრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს, ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციის სამმართველოსა და მსოფლიო ბანკის ღონისძიებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირებს შეეძლოთ ისარგებლონ თავიანთი იმ უფლებით, რომ მათაც ისევე ეპყრობოდნენ, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქეს, სრული პატივისცემით, ზოგადად და პრაქტიკულად, იმ განუყოფელი უფლებით, რომ დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში;

10. გამოხატავს წუხილს ყველა ძალმომრეობითი ინციდენტის, აგრეთვე იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში გააქტიურდა დანაშაულებრივი მოქმედება, და მოუწოდებს ორივე მხარეს, განახორციელონ დაუყოვნებლივი ღონისძიებანი, ითანამშრომლონ ერთმანეთთან ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავიანთი შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სრულყოფის საქმეში;

11. მოითხოვს ორივე მხარისაგან მკაცრად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის (S/1994/583, დანართი I) შეთანხმება;

12. მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას ნიადაგ ყურადღების ცენტრში აქვს მისიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რათა მიაღწიოს თავისი პერსონალის უსაფრთხოების რაც შეიძლება მაღალ დონეს;

13. ადგენს გაურძელებლად მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას შემდგომი პერიოდით, რომლის ვადა 2000 წლის 31 იანვარს იწურება, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის განხილავას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში და გამოხატავს თავის განზრახვას საგულდაგულოდ მიმოიხილოს ოპერაცია მიმდინარე სამანდატო პერიოდის დასასრულს იმ ნაბიჯების გათვალისწინებით, რომლებსაც მხარეები გადადგამენ ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით;

14. სთხოვს გენერალურ მდივანს კვლავაც რეგულარულად აცნობოს საბჭოს ინფორმაცია და ამ რეზოლუციის მიღების დღიდან სამ თვეში წარუდგინოს მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, ვითარების შესახებ;

15. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.
(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)